შპს „თბილისის ნიჭიერთა კერძო
სკოლა - აკადემიის“

მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი

თავი I

მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები

1. ზოგადი დებულებები

1.1. სკოლა არის ადგილი, სადაც რეალიზდება ბავშვის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება - განათლების უფლება. მხოლოდ სკოლის მოსწავლის სტატუსის მოპოვება არ არის საკმარისი ამ უფლების დასაცავად. სკოლა ვალდებულია ყოველდღიურად იზრუნოს თითოეული ბავშვის უფლებების დაცვაზე.

1.2. სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების: მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების (შემდგომ „მეურვის“), სკოლის ყველა პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა. ამ მიზნით:

1.2.1. სკოლას აქვს შინაგანაწესი;

1.2.2. სკოლას ყავს დისციპლინური კომიტეტი;

1.2.3. სკოლას ყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი;

1.2.4. სკოლის ექიმი/ექთანი;

1.2.5. თითოეულ კლასს ყავს კურატორი;

1.2.6. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა.

1.3. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს უფლება აქვს ჰქონდეს უსაფრთხო გარემო.

2. მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები

2.1. მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის კურატორი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი მიდგომების გამოყენებით. დაუშვებელია მოსწავლისათვის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე ხელმოწერით, მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვიძება, დასჯის შიშის შექმნა და სხვა.

2.2. ინფორმაციის გაცნო მოსწავლისა და მისი მეურვის უფლებების შესახებ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციის ან კლასის კურატორის მიერ ელექტრონულად ეგზავნება ყველა მოსწავლეს.

2.3. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

3. სკოლის შინაგანაწესი

3.1. თითოეულ მოსწავლეს და მისი მეურვე ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს.

3.2. მოსწავლეებსა და მათ მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის კურატორი გააცნობს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3.3. <u>თოთოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს:</u>

3.3.1. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

3.3.2. ხელშეუხებელი იყოს მისი რელიგიური თავისუფლება;

3.3.3. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

3.3.4. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;

3.3.5. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას ან მოსწავლის სიცოცხლეს;

3.3.6. ფლობდეს ინფორმაციას: სკოლის მიერ მოსწავლის (ვის წარმომადგენლობასაც იგი ახორციელებს) შესახებ კონკრეტული მონაცემების დამუშვების შესახებ, მონაცემების დამუშავების მიზანისა და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ, მონაცემების შეგროვების წყაროს შესახებ, მონაცემების გაცემის შესახებ, ადრესატის, გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

3.3.7. სკოლის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის პერსონალის ან სხვა მოსწავლის ან სხვა მოსწავლის მეურვის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

3.3.8. თოთოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის დირექტორის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

3.3.9. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით (რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან);

3.3.10. იცნობდეს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;

3.3.11. სკოლის მიერ დადგენილი წესების დაცვით შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლის ბიბლიოთეკით;

3.3.12. სკოლის ადმინისტრაციასთან/დირექციასთან შეთანხმებით სკოლის მიერ დადგენილი წესით ისარგებლოს სკოლის სხვა სივრცეებით: სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი და სხვა.

3.3.13. თავისუფლად შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, ასევე ამ შეკრებაზე მიიწვიონ სხვა პირი;

3.3.14. შექმნას სასკოლო კლუბები ან სხვა გაერთიანება.

3.4. <u>მეურვეს უფლება აქვს:</u>

3.4.1. მოითხოვოს სკოლის შენობაში შესვლა სკოლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ დროს, ან

განსხვავებულ პერიოდში სკოლის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;

3.4.2. მოითხოვოს ინდივიდუალური შეხვედრა მასწავლებელთან, სკოლის დირექციის წარმომადგენელთან, სკოლის ფსიქოლოგთან, სკოლის ექიმთან;

3.4.3. ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ზომების შესახებ.

4. სასკოლო სასწავლო გეგმა

4.1. ყველა მოსწავლესა და მის მეურვეს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე (იხ.: https://skola.com.ge/).

4.2. სასკოლო სასწავლო გეგმას ყოველწლიურად შეიმუშავებს სკოლა ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. სასკოლო სასწავლო გეგმის ზოგიერთი საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს მოსწავლეებთან/მეურვეებთან.

4.3. სსსმ მოსწავლის ან სხვა მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება მეურვესთან.

4.4. სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში მოსწავლესა და მის მეურვეს უფლება აქვს:

4.4.1. დააფიქსიროს პოზიცია, რომელი არჩევითი საგნის სწავლებას ისურვებდა X კლასიდან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მოსწავლეთა უმრავლესობას ექნება იგივე პოზიცია, მოითხოვოს არჩეული საგნის სწავლება;

4.4.2. დააფიქსიროს პოზიცია (დაეთანხმოს ან უარი განაცხადოს) ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული დამატებითი საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო მომსახურების მიღებას;

4.4.3. მოითხოვოს სემესტრული გამოცდა სემესტრული ნიშნის ამაღლების მიზნით პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში;

4.4.4. საშემოდგომო გამოცდის დაძლევის მიზნით მოითხოვოს კონსულტაცია;

4.4.5. მოითხოვოს მასწავლებლის კონსულტაცია კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში;

4.4.6. კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შინ სწავლებაზე გადასვლის შემთხვევაში მოითხოვოს შინ სწავლება მისთვის მისაღები ფორმით: პირისპირ ან დისტანციურად;

4.4.7. მიიღოს მონაწილეობა სკოლის მიერ ორგანიზებულ არაფორმალურ აქტივობებში.

4.5. <u>სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში მოსწავლეს არ აქვს უფლება უარი თქვას რომელიმე სავალდებულო საგნის სწავლებაზე.</u>

4.6. <u>მოსწავლეს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაძლეული კლასის განმეორებით გავლა.</u>

5. სხვა უფლებები

5.1. თოთოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს:

5.1.1. იცნობდეს სკოლის წლიურ სამოქმედო გეგმას;

5.1.2. იყოს დასაქმებული საქართველოს შრომის კოდექსით არასრულწლოვანისთვის განსაზღვრული პირობებით;

5.1.3. მოსწავლის საჭიროების შემთხვევაში მიმართოს სკოლის ექიმს (ექთანს);

5.1.4. საჭიროების შემთხვევაში მიმართოს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს (https://befriend.mes.gov.ge/psychologists/);

5.1.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში, სკოლისგან დამოუკიდებლად მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს;

5.1.6. სკოლის მიერ საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2. სკოლა განუხრელად იცავს რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს. საჯარო სკოლის სასწავლო პროცესში დაუშვებელია რელიგიური ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმი. საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

5.3. მეურვეს არ აქვს უფლება დაწყებით და საბაზო განათლებას ჩამოაშოროს არასრულწლოვანი.

5.4. მეურვეს არ აქვს უფლება უგულებელყოს მოსწავლის საბაზისო საჭიროებები.

6. მოსწავლის/მეურვის მიერ მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრებება

6.1. იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის, ან სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ;

6.2. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მენიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცეტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ;

6.3. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ.

6.4. თითოეულ მოსწავლეს ან მის მეურვეს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II

სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები

7. ზოგადი დებულებები

7.1. სკოლის პერსონალში იგულისხმება მასწავლებელი და სკოლის ყველა თანამშრომელი

7.2. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

7.3. მასწავლებელთათა და სკოლაში დასაქმებული დამხმარე პერსონალის შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ უფლებებს დამატებით იცავს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი.

8. სკოლის შინაგანაწესი

8.1. სკოლაში დასაქმებული ყველა პირი ვალდებულია იცნობდეს შინაგანაწესს, ასევე შინაგანაწესში შეტანილ ცვლილებებს ცვლილების შეტანიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

8.2. თოთოეულ დასაქმებულს უფლება აქვს:

8.2.1. იცნობდეს სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას;

8.2.2. სკოლის დირექტორთან წარადგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის სხვა პერსონალის ან რომელიმე მოსწავლის ან რომელიმე მოსწავლის მეურვის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

8.2.3. თითოეულ დასაქმებულს უფლება აქვს სკოლის სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს საჩივარი/მოთხოვნა სკოლის დირექტორის მხრიდან თავისი უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

8.2.4. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით, რაც არ ათავისუფლებს მას დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;

8.2.5. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;

8.2.6. ხელშეუხებელი იყოს მისი რელიგიური თავისუფლება;

8.2.7. ფლობდეს ინფორმაციას მის შესახებ, თუ მისი რომელი პერსონალური მონაცემი მუშავდება, იცოდეს მონაცემების დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი, იცოდეს რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, გაცემის საფუძვლისა და მიზნის მითითებით;

8.2.8. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ეთნიკური, რელიგიური, გენდერული იდენტობის შესახებ;

8.2.9. არ გაამჟღავნოს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებრივ ჯანდაცვას;

8.2.10. ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით;

8.2.11. შეუზღუდავად ისარგებლოს სკოლის სივრცეებით: სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და ა.შ.

8.2.12. თავისუფლად შეიკრიბონ სკოლის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით სკოლის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;

8.2.13. ფლობდეს ინფორმაციას სკოლის წლიური სამოქმედო გეგმის შესახებ.

9. სასკოლო სასწავლო გეგმა

9.1. სკოლის ყველა პერსონალს აქვს უფლება იცნობდეს სასკოლო სასწავლო გეგმას. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე (იხ.: https://skola.com.ge/). გამონაკლისს წარმოადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლის გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს.

9.2. მასწავლებელს უფლება აქვს:

9.2.1. მოითხოვოს სრული საათობრივი დატვირთვა იმ საგანში/საგნობრივ ჯგუფში, რომელშიც ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა;

9.2.2. ობიექტური მიზეზების გამო უარი თქვას მოსწავლის შინ სწავლებაზე პირისპირ მეთოდით;

9.2.3. მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი სასწავლო რესურსების (თვალსაჩინოება,

9.2.4. დამატებითი სახელმძღვანელო, მეთოდური რესურსი) შეძენის მოთხოვნით;

9.2.5. აიმაღლოს კვალიფიკაცია;

10.პერსონალის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება

10.1. იმ შემთხვევაში თუ სკოლის დირექტორის მიერ სკოლის მასწავლებლის ან სკოლის ნებისმიერი სხვა პერსონალის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, თითოეულ პირს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს სკოლის მხრიდან ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ;

10.2. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მენიერების სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცეტრის უკანონო ქმედების ან უმოქმედობის შესახებ;

10.3. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების დარღვევის შესახებ;

10.4. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს შრომით-სამართლებრივ საკითხებში მათი უფლებების დაცვისთვის მიმართოს საქართველოს პედაგოგთა

და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირს.

10.5. თითოეულ მასწავლებელს ან სკოლის ნებისმიერ სხვა პერსონალს უფლება აქვს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი III

განცხადების/საჩივრის წარმოდგენისა და განხილვის წესი

11.რეგულირების სფერო და მიზანი

11.1. სკოლა ორიენტირებულია სასკოლო განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე, რისთვისაც გამოიყენება უკუკავშირის სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორისაა სკოლისათვის განცხადებით/საჩივრით მიმართვის შესაძლებლობა და მათი კანონთან შესაბამისი განხილვის პროცედურის უზრუნველყოფა ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც დაინტერესებულ პირს მიაჩნია, რომ სკოლის მხრიდან სასკოლო პროცესების განხორციელებისას ადგილი აქვს სავარაუდო დარღვევას, გადაცდომას ან/და თვლის, რომ პროცესების განხორციელებისას სკოლამ ვერ უზრუნველყო სათანადო სერვისის მიწოდება და სათანადოდ არ განახორციელა მისი მოვალეობა.

11.2. განცხადების/საჩივრის მიღება/განხილვით სკოლა უზრუნველყოფს სავარაუდო ხარვეზების გამოვლენას, აღმოფხვრასა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული შეფასების პროცესების მუდმივ გაუმჯობესებას. შესაბამისად მოცემული რეგულაციის მიზანია, სასკოლო პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა, რისკებისგან დაცვა და განვითარება, სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა.

11.3. განცხადების/საჩივრის წარმოდგენა/განხილვის წესი და პროცედურა ეხება სკოლის მთელ საზოგადოებას - მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს (შემდგომში - მეურვე) და სკოლის თანამშრომლებს. ამასთან შესაძლებელია კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული იყოს სპეციალური წესი, რომელსაც უპირატესი ძალა აქვს წინამდებარე რეგულაციასთან მიმართებაში.

12.განცხადების/საჩივრის ფორმა

12.1. განცხადება/ საჩივარი უნდა შეიცავდეს:

12.1.1. ავტორის ვინაობასა (სახელი და გვარი) და მისამართს;

12.1.2. ავტორის საკონტაქტო ტელეფონის/მობილურის ნომერს (სასურველია ასევე ელ. ფოსტის მისამართი, კომუნიკაციის გასამარტივებლად);

12.1.3. სადავო გარემოებასა და მოთხოვნას, კერძოდ: განცხადების ეფექტურად და მოკლე ვადებში განსახილველად აუცილებელია განცხადებაში/საჩივარში მაქსიმალურად დეტალურად და არგუმენტირებულად აისახოს სადავო გარემოება და დაერთოს მტკიცებულებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

12.1.4. მტკიცებულებების ნუსხას, არსებობის შემთხვევაში.

13.განცხადების/საჩივრის წარდგენა

13.1. განცხადების/საჩივრის წარმოდგენა 11.3 მუხლში მითითებულ პირების მიერ შესაძლებელია 2 გზით:

13.1.1. ელექტრონული ფორმით - სკოლის ელ-ფოსტის მისამართზე - private.school.academy@gmail.com, განცხადების/საჩივრის გამოგზავნის გზით (ასეთ შემთხვევაში დოკუმენტი უნდა შეიცავდეს განცხადების/საჩივრის ავტორის კვალიფიციური ხელმოწერას);

13.1.2. სკოლის კანცელარიაში მატერიალური ფორმით მიტანით. (ასეთ შემთხვევაში განცხადება/საჩივარი წარმოდგენილი უნდა იქნეს სკოლის კანცელარიაში, მისამართზე ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, წმინდა ნინოს ქუჩა, N 19/ მუხიანის II მ/რ დუმბაძის და ნონეშვილის გამზირის გადაკვეთაზე, (ნაკვეთი N3/18)).

13.2. განცხადების/საჩივრის სკოლისათვის წარდგენა შესაძლებელია სასკოლო პროცესის მიმდინარეობისას კონკრეტული გარემოების დადგომიდან ან პროცესის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში

14.საჩივრის განხილვა

14.1. განცხადებას/საჩივარს განიხილავს სკოლის დირექტორი.

14.2. საჩივრის/განცხადების ასლი (შესაბამისი რეგულაციებით დადგენილი წესით) გადაეცემა საჩივარში/განცხადებაში მითითებულ ან პროცესში შემდგომ ჩაართულ დაინტერესებულ პირებს, რომელთა ქმედებებსაც მიემართება მისი შინაარსი და რომელთა უფლებებსაც შეეხება მიღებული გადაწყვეტილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესაბამისად მათ უფლება ექნებათ წარნმოადგინონ საკუთარი ფაქტობრივ - სამართლებრივი პოზიცია და მტკიცებულებები განცხადებასთან/საჩივართან დაკავშირებით.

14.3. საჩივრის განხილვა შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ზეპირი მოსმენით, ისე მის გარეშე, დავის საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

14.4. განცხადებას/საჩივარს სკოლის დირექტორი განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას განცხადების/საჩივრის დარეგისტრირებიდან ერთი თვის ვადაში. ეს ვადა შეიძლება ერთჯერადად

გაგრძელდეს დამატებით ერთი თვის ვადით, საქმის სირთულის გათვალისწინებით.

14.5. სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრის ავტორს და განხილვის პროცესში ჩართულ დაინტერესებულ პირებს (არსებობის შემთხვევაში) ეგზავნებათ განცხადებაში/საჩივარში დაფიქსირებულ მისამართზე ან რეგისტრაციის მისამართზე, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში.

15.სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

15.1. განცხადებასთან/საჩივართან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შეიძლება გასაჩივრდეს მისი განცხადების/საჩივრის ავტორისათვის ან დაინტერესებული პირისათვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლის მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

დანართი:

1. *მოსწავლის მიერ სკოლის დირექტორისათვის განცხადებით მიმართვის ფორმა (დანართი 1)*
2. *მოსწავლის მიერ სკოლის დირექტორისათვის საჩივრით მიმართვის ფორმა (დანართი 2)*
3. *მოსწავლის მშობლის/მეურვის მიერ სკოლის დირექტორისათვის განცხადებით მიმართვის ფორმა (დანართი 3)*
4. *მოსწავლის მშობლის/მეურვის მიერ სკოლის დირექტორისათვის საჩივრით მიმართვის ფორმა (დანართი 4)*
5. *სკოლის თანამშრომლის მიერ სკოლის დირექტორისათვის განცხადებით მიმართვის ფორმა (დანართი 5)*
6. *სკოლის თანამშრომლის მიერ სკოლის დირექტორისათვის საჩივრით მიმართვის ფორმა (დანართი 6)*

დანართი 1

ბატონ ლევან ტიკაძეს,

შპს თბილისის ნიჭერთა კერძო სკოლა - აკადემიის დირექტორს

ამავე სკოლის ----კლასის მოსწავლის

_____ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოთხოვნა

_____

_____

_____

ფაქტობრივ - სამართლებრივი დასაბუთება

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერა

თარიღი

დანართი 2

ბატონ ლევან ტიკაძეს,

შპს თბილისის ნიჭერთა კერძო სკოლა - აკადემიის დირექტორს

ამავე სკოლის____კლასის მოსწავლის

_____ს

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

მოთხოვნა

_____

_____

_____

ფაქტობრივ - სამართლებრივი დასაბუთება

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერა

თარიღი

დანართი 3

ბატონ ლევან ტიკაძეს,

შპს თბილისის ნიჭერთა კერძო სკოლა - აკადემიის დირექტორს

ამავე სკოლის ____კლასის მოსწავლის

_____

მშობლის/მეურვის

_____ს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოთხოვნა

_____

_____

_____

ფაქტობრივ - სამართლებრივი დასაბუთება

_____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერა

თარიღი

დანართი 4

ბატონ ლევან ტიკაძეს,

შპს თბილისის ნიჭერთა კერძო სკოლა - აკადემიის დირექტორს

ამავე სკოლის ____ კლასის მოსწავლის

_____

მშობლის/მეურვის

_____ს

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

მოთხოვნა

_____

_____

_____

ფაქტობრივ - სამართლებრივი დასაბუთება

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერა

თარიღი

დანართი 5

ბატონ ლევან ტიკაძეს,

შპს თბილისის ნიჭერთა კერძო სკოლა - აკადემიის დირექტორს

ამავე სკოლის_თანამშრომლის (მიუთითეთ პოზიცია)

_____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოთხოვნა

_____

_____

_____

ფაქტობრივ - სამართლებრივი დასაბუთება

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერა

თარიღი

დანართი 6

ბატონ ლევან ტიკაძეს,

შპს თბილისის ნიჭერთა კერძო სკოლა - აკადემიის დირექტორს

ამავე სკოლის_თანამშრომლის (მიუთითეთ პოზიცია)

_____

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

მოთხოვნა

_____

_____

_____

ფაქტობრივ - სამართლებრივი დასაბუთება

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ხელმოწერა

თარიღი